



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030471112091217

№ 04-738/ო

13 / ოქტომბერი / 2017 წ.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმა“ (დანართი N1).
2. სააგენტოს ეკონომიკურმა დეპარტამენტმა (ლ. მამულაშვილი) უზრუნველყოს „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის“ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის ღონისძიებები, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის“ პროაქტიულად გამოქვეყნება, დადგენილი პირობებით.
4. კონტროლი წინამდებარე ბრძანების განხორციელებაზე დაევალოს სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილეს, თ. მოდებამეს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე

სახელმწიფო შესყიდვების 2018 წლის გეგმის პროექტი						დანართი №1		
1. შედგენის თარიღი				2. შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი 202178927				
3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება სოციალური მომსახურების სააგენტო			4. დაფინანსების წყარო					
5. სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა						21,441,400		
№	დანაყოფის კოდი	დანაყოფის დასახელება	სავარაუდო ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვების დაწყების სავარაუდო ვადები	შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავარაუდო ვადა	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	33100000	სამედიცინო მოწყობილობები	71,400	ე.ტ.	IV/2017	I-IV/2018	სოციალური უზრუნველყოფა	
2	33600000	ფარმაცევტული პროდუქტები	21,370,000	ე.ტ.	IV/2017	I-IV/2018	სოციალური უზრუნველყოფა	
სულ:			21,441,400					